ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01263092355**
გაცემის თარიღი: **06/11/2026**

ადრესატი: გიორგი კახაძე
პირადი ნომერი: 01024084814
მისამართი: თბილისი ზ.ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. N 9 ბ. 78

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი, 2026 წლის 5 ნოემბრის №012630935-16 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

დაკმაყოფილდეს 2026 წლის 5 ნოემბრის №012630935-16 განცხადება და შეთანხმდეს ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ცივი წყაროს ქუჩა, N 3 (საკადასტრო კოდი: 01.15.08.017.062) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა არსებული დანართის შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შეთანხმებულია იმ პირობით, რომ სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს მოქმედი სამართლებრივი დადგენილი წესით.

სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის მიხედვით გათვალისწინებული საგზაო ნიშნები უნდა განთავსდეს მოძრავ დგარზე, რათა არ დაზიანდეს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა. ამასთან, განსათავსებელი დროებითი საგზაო ნიშნები დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებისათვის საჭირო დროებითი და არსებული საგზაო ნიშნები ეწინააღმდეგება/ხელს უშლის ერთმანეთს, საჭიროა უკვე არსებული საგზაო ნიშნები შეიფუთოს, ხოლო სამუშაოს დასრულებისთანავე დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი (ყველა შეფუთული ნიშნის ჩათვლით) მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ თუ მშენებლობის პერიოდში, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ხორციელდება სხვა სამშენებლო სამუშაოები და დროებითი საგზაო ნიშნები, რომლებიც განთავსებულია სხვა, ნებართვის მქონე, შემსრულებელი კომპანიის მიერ და კვეთს/ეწინააღმდეგება თქვენს მიერ დასამონტაჟებელ საგზაო ნიშნებს, დროებითი საგზაო ნიშნები დაიტანოთ საჭიროებისამებრ და აუცილებლობის შემთხვევაში, სამუშაოები განახორციელოთ უკვე განთავსებული დროებითი საგზაო ნიშნების გამოყენებით. ხოლო, სხვა შემსრულებლის მიერ, სამუშაოების დასრულებისა და ნიშნების დემონტაჟის შემთხვევაში, უზრუნველყოთ თქვენი საგზაო ნიშნების სრულად მონტაჟი, მოცემული პირობების შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

ასევე გაცნობებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო იტოვებს უფლებამოსილებას, მოითხოვოს სამუშაოების პერიოდში არსებული სიტუაციის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ალტერნატიული ვარიანტის წარმოდგენა.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 62-ე მუხლის შესაბამისად, ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებას ექვემდებარება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2026 წლის 11 თებერვლის N16-01260421074 წერილით შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა. (დროებითი სქემა).

დანართი 1: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები.

დანართი 2: საქმის ნომერი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ბმული.

https://letters.ms.gov.ge/public/document-details/35204546

პატივისცემით,

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

მამუკა მუმლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების სააგენტო-უფროსის მოადგილე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

09/11/2026

MIA 4 26 04051975

მოქალაქე კახაბერ დეკანოიძეს
ასლი: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარ სამმართველოს

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელშიც ითხოვთ, ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ცივი წყაროს ქუჩა, N 3 (საკადასტრო კოდი: 01.15.08.017.062) სამშენებლო დამცავი ღობის მოწყობის და საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაკადების მიმართულების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის წარმოდგენილი დროებითი სქემების შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ , ს.ს.ი.პ. ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (06.11.2026წ 16-01263092355) თანხმობას შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით) წარმოდგენილ დროებითი მოძრაობის ორგანიზაციის სქემებს და არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ აღნიშნული სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

- ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დამცავი ღობის ფარგლებში მოეწყოს ქუჩის სავალი ნაწილის მხრიდან ქვეითად მოსიარულეთა ბილიკი, ღობე გზის სავალი ნაწილის მხრიდან გადაიხუროს და ღამის საათებში განათდეს;
- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა (სამუშაოების განხორციელების პროცესში) აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული სქემების შესაბამისად, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დროებით დემონტაჟი ან შეიფუთოს;
- საგზაო მოძრაობის რეგულირებისთვის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით სამუშაოების მწარმოებლის მიერ გამოყოფილ იქნეს სპეც. ტანსაცმლით და ალმით აღჭურვილი საჭირო რაოდენობის თანამშრომელი;
- საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შეთანხმებულია იმ პირობით, რომ სამშენებლო ტექნიკა იმოძრავებს მოქმედი სამართლებრივი დადგენილი წესით.
- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- სამუშაოების დასრულებისთანავე ფეხით მოსიარულეთა ბილიკი მოყვანილ იქნას არსებული სტანდარტის შესაბამისად, დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 32) 2 41 42 42
(+995 32) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი და მიმდებარე ტერიტორია აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად;

- სამუშაოების დაწყების შესახებ წინასწარ ეცნობოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (241–85–04; 241–85–05).

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი: სქემა 1 ფაილად

პატივისცემით,

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით







შენიშვნა:

დროებითი სქემა შედგენილია „ოდმ 218.6.014-2014“ და საქართველოს კანონის საგზაო მოძრაობის შესახებ-ის მოთხოვნებით

1. ქვეითთა უსაფრთხო მოძრაობა უზრუნველყოფილია ძოლგიანი არხებული ღობით/კედლით, ასევე დროებითი სამშენებლო ღობით. სქემაზე მითითებულია სატვირთო ავტომობილისთვის განკუთვნილი მიმართულება.

კვეთი I-I



კვეთი II-II





ქალაქი თბილისი, სოფელი ოძროყანა, სატყეოს ქუჩა, 24; ქალაქი თბილისი, სოფელი ოძროყანა, ცივი წყაროს ქუჩა, 3; ს/კ: 01.15.08.017.062, ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა (III კლასი) საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა (მშენებლობის პერიოდში)	საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა მ. პირობითი



შენიშვნა:

დროებითი სქემა შედგენილია „ოდმ 218.6.014-2014“ და საქართველოს კანონის საგზაო მოძრაობის შესახებ-ის მოთხოვნებით

1. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე გამაფრთხილებელი, განდევნის და გუშერული ზონები არ ეწყობა.
2. სქემაზე მითითებულია სატვირთო ავტომობილისთვის და ქვეითებისთვის განკუთვნილი მიმართულება

პირობითი ნიშნები:

- საშენებლო ტექნიკის მოძრაობის მიმართულება
- საქვეითო ნაკადის მოძრაობის მიმართულება
- ქვითელი ციმციმა 2 ც.
- სასიგნალე ლენტი
- არსებული ღობე/კედელი

ქალაქი თბილისი, სოფელი ოქროყანა, სატყეოს ქუჩა, 24;
ქალაქი თბილისი, სოფელი ოქროყანა, ციცვი წყაროს ქუჩა, 3;
ს/კ: 01.15.08.017.062,
ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა (III კლასი)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა
(დროებითი სამშენებლო ღობის მონტაჟი-დემონტაჟი)

საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

მ. პირობითი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

70775785241826

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული განცხადების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N261557698

რეგისტრაციის თარიღი

03.11.2026 წ

ნოტარიუსი: ნინო შოშიაშვილი
მისამართი: ქ.თბილისი, კოტე აფხაზის 9.(ყოფ.ლესელიძის ქ. 9)
ტელეფონი: 599531441

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაექვსი წლის სამ ნოემბერს მე, ნოტარიუსს ნინო შოშიაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, კოტე აფხაზის ქუჩა №9-ში, პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა **ლევან გარდაფხაძე,** რომელმაც განაცხადა რომ ამჟამად იმყოფება თბილისში და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში გააკეთოს თანხმობა და დაადასტუროს იგი სანოტარო წესით. მე დავადგინე სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობა სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ლევან გარდაფხაძემ** (დაბადებული 17.07.1983წ, პირადი № 01010012737, რეგისტრირებული: ქალაქი თბილისი, ავთო ვარაზის ქუჩა, N 2, ბინა 13) მომმართა.

სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებოდნენ: **ლიანა არევაძე** (დაბადებული 24.10.1966წ, პირადი №01001014766, რეგისტრირებული: თბილისი დიდი დიღომი პეტრე იბერის ქ. N 16ა ბ. 76), როგორც განმცხადებლის ნდობით აღჭურვილი პირი (ხელმომწერი) და **სალომე დოლიძე** (დაბ. 25.06.1985წ. პირადი №01017023611, რეგისტრირებული:. თბილისი ივ. მაჩაბლის ქ. N16) როგორც მოწმე.

მე, შევამოწმე სანოტარო მოქმედების მონაწილეთა პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით, შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ მათ ქმედუნარიანობასა და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. მე, ნოტარიუსმა, სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები. მოწმეებს განვუმარტე აგრეთვე, რომ ისინი არ უნდა იყვნენ განმცხადებლის ნათესავები ალმავალი და დაღმავალი ხაზით მესამე რიგის ჩათვლით და წინამდებარე სანოტარო აქტით დაინტერესებული პირები. მათ დაადასტურეს, რომ ისინი არ არიან განმცხადებლის ნათესავები და სანოტარო აქტით დაინტერესებული პირები. ამასთან ისინი ადასტურებენ, რომ პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციით დაკავშირებული პირი არის აღნიშნული პიროვნება. მათ ასევე განაცხადეს, რომ ნოტარიუსისგან განემარტათ სისხლის სამართლის კოდექსის 348[1]-ე და 372-ე მუხლები, კერძოდ ადმინისტრაციულ წარმოებაში ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემა ან/და გაზრახ არასწორად თარგმნა, ასევე ზემოქმედების განხორციელება მოწმეზე, თარჯიმანზე არის სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედება. ამ განმარტებების მიცემის შემდეგ, მე, პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში, მოწმეთა თანდასწრებით, დავადგინე განმცხადებლის ნება, რომლის შესაბამისადაც შევადგინე თანხმობის შემდეგი ტექსტი.

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე, **ლევან გარდაფხაძე (პირადი № 01010012737)** ვაცხადებ თანხმობას, რომ ჩემს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით, საკადასტრო კოდით 81.02.20.021, დროებით ისარგებლოს მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ, თეონა **აბრამიამ** (პირადი №39001007719), სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით.

აღნიშნული თანხმობა მოიცავს მიწის ნაკვეთის გამოყენების უფლებას სამშენებლო მძიმე ტექნიკის გადაადგილებისათვის (შესვლა-გამოსვლა), დროებითი დგომისა და გაჩერებისათვის, აგრეთვე სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად. წინამდებარე თანხმობა ძალაშია სამშენებლო სამუშაოების დასრულებამდე.

წინამდებარე ტექსტი ჩავიწერე მე, ნოტარიუსმა, რომელიც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წავუკითხე განმცხადებელს ქართულ ენაზე. განმცხადებელმა დამიდასტურა, რომ ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად ტექსტზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს **მარგალიტა ლომჯარიას** (დაბადებული 18.12.1961წ. პირადი №01017024440,

წინამდებარე აქტი შედგა სამ თანაბარ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო ორი გადაეცა განმცხადებლის ნდობით აღჭურვილ პირს.

სანოტარო არქივში აგრეთვე ინახება სანოტარო მოქმედების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ვიდეო და აუდიო ჩანაწერი ციფრულ ფორმატში.

სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდილია: 60.00 (სამოცი ლარი და 00 თეთრი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების 2011 წლის 29 დეკემბერის #507 დადგენილების 32-ე მუხლისა, 3 ეგზემპლარად, ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 5.00 (ხუთი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011წ.) 39-ე მუხლისა, ასევე დღგ. 10.80 (ათი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე. სულ გადახდილია: 75.80 (სამოცდათხუთმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

ხელმომწერი: **ლიანა არევაძე** ---------- ლიანა არევაძე ----------

მოწმე: **სალომე დოლიძე** ---------- სალომე დოლიძე ----------

ნოტარიუსი: ნ. შოშიაშვილი /ნინო შოშიაშვილი/

